



სიკვდილი და მებადობა. ნახატი ფრენჩისა.

### ლიონისოსთან

I

იყო დრო, ვიყავ ქალწული,  
ტყეში ვეძებდი იასა,  
ალერსით ვეგებებოდი  
პეპელასა, თუ ჭიასა.

„ჰასაკოვანი რომ გაჰხდე,  
სამსხვერპლოდ იცან ღმერთიო!  
ყველანი ასე ვიქცევით,  
შენ რალას იზამ ერთიო?!“

ასე მეტყოდნენ... ერთხელაც  
ტაძრად შევადე მე კარი,—  
ღმერთ-კაცი იდგა იქა და  
კიდევ მეტყოდნენ: ეგ არი!

ემაგ კერპის წინ დაჰყარე,  
მცენარეული ყველაო;  
გვგონია, შესძლებ მარტოკა,  
არ დაგჭირდება შეველაო.

ყვავილი სხვა და სხვა გვარი  
ნახე, მოკრიფე კიდევო,  
ემაგ კერპის წინ დაჰყარე,  
და ცეცხლი წაუკიდევო!

ჩამოვდექ მუხლის თავზედა,  
თაყვანისცემა მჭიროდა;  
კერპისგან უკუქცეულნი  
ცხრა დედაკაცი ტიროდა...

იტყვი: მოვერიდები—  
ჯერ კერპი ვნახო კარგათა:  
ვიშ, რა ნაყოფი მოუხსნავს,  
რა აუკუნწლავს ბარგათა!

მსხლითა თუ ვაშლით, ყურძენით  
წელ-ქვევით ნაყოფიერი...  
ფეხები ჩლიქებიანი,  
სახეზე კაცის იერი;

ტანზე ბალანი ასხია,  
თავზე რქები აქვს ვაცისა,  
ღიმილი ეშმაკეული,  
ტანი ისევე კაცისა.

II

ტაძარში დავრჩი, ვსაზრდოვობ,  
მიფეხები ხილის ჰამასა;  
კერპი კეთილი ყოფილა,  
განა მიკრძალავს ამასა?!

ეხლა ის დედაკაცი ვარ,  
წული რომ ვიყავ წინათა,  
იგავი გამოგარკვეე,  
მგონია ეხლა ინათა!

ცხრა დედაკაცთან გადავალ,  
მიფეხები რიცხვითა.  
ვისაუბრებთ და ვიშვებით  
აქ მდგომი კერპის კიცხვითა.

რაც მე იგავით გავიგე,  
შევატყობინებ იმათა;  
მოვედით კერპის წინაღმდეგ  
და მხნეობამაც იმატა.

—დედაკაცებო! ამ კერპმა  
ქმარი დაირქვა სახელი,  
ჩვენ ცოლად გამოგვაცხადა,  
ზოგიც ყოფილა მნახველი.

აბა, იცოდით, ეს ქმარი  
რად მოოქვილა ჩლიქებით?  
მოითმინეთ და მოგიტხოვით,  
ჩვენ მოთმინებით ვიქვებით;—

რომ ფეხი აღარ გაუცვდეს,  
ბევრი სჭირდება ტარება;  
თუ გარედ სადმე გაერთო,  
სახლს აღარ მიეკარება.

ისიც იცოდით, რომ ქმარი  
წინ უძღვის დედაკაცებსა?  
ამიტომ რქები სჭირდება,  
როგორც ფარაში ვაცებსა.

სუყველამ ერთხმად მომიგეს:  
ვიცოდით, როგორ არაო!  
ა ეხლა კერპი დავტოვოთ,  
ესეც მოთმენა... კმარაო!

დედაკაცები წავედით,  
კერპს ჩამოვშორდით ცეკვითა,  
თან ჩამოგკრიფეთ, რაც იმას  
წელქვევით ხილი ეკიდა...

იქ დიონისოს ქანდაკი  
სდგას ისევ ნაყოფიერი  
და უთამაშებს სახეზე  
ისევ ღიმილი ცბიერი.

ამბობენ, დიონისოსთან  
ბევრი ქალწული მოვაო,  
დასწვავენ ველის ყვავილებს  
და უღვებთ გლოვანო.

ამორძალი.

### ლიონისოსთან

დას... და მას, რომ...  
არის ხლად აყლორტილს ნარჩს ზამ- ბამო  
ბახ! მილიც მოულოდნელად გა- იძახოდა:  
და... იათობს და ვერც- — აჰ,  
ფენი და...

I საძილისპირო სურვილად...  
გაზაფხულზე არად მინდა არც შრომა იანი,  
ნეტამც ვიყო ღამის ვარდი—მზიანი დასწორიანი,—  
შენ—სიზმარი მტრედისფერი—მზიარული სიზმრის წვეთი...  
და ლურჯ ფარჩად, როს იშლება უნაპირო ვარსკვლავითი,—  
მოუფშქაშებ ორსავ ტუჩებს ერთად: პირმზეს და ნათელას—  
შენ დამათრობ ლალის თასით, შენ მომაფენ ციცნათელას!..  
გულთან გული აყვავდება, გული გულთან იწყებს მღერას  
და ლანდებში გადავიხდით, საიდუმლო ჯვარისწერას!..

II თვალთა ბრძოლა.  
ერთის წუთით საუბრისას, მომაშტერდი როგორც სურათს  
და კითხვები უცნაური, გამომკითხე უცნაურად.

უხმო ბრძოლა იმართება.. უხმოდ იბრძვის ჰინდის ჯარი,  
ყრმა თავადი დამატყვევეს, დაუფინე ძირს აბჯარი..

ნაზ ნაპერწკლად ჩვენს თვალებში, ახმაურდა ბრძოლის ეინი  
და არ ისმის აბჯარის ჩხარი, არც ზურნა და არც ყიეინი!..

ჩუმ პეპლებად თოვლი ცვივა, შავად მოსჩანს ირმის გზანი,  
მიცვალეზულს მთვარეს სტირის თამაშლილი მოლოზანი!..

III ქუჩაში.  
აღვის წვეტი ცახცახებდა, აგიეებდა ქარის თქმანი  
მიცვალეზულს ქალწულს ჰგავდა, ელექტრონის ჩირაღდანი!

ვით ზამბახი, შენი ტუჩი, შექთა ცხრილში ისე თრთოდა  
და ვერცხლოვან წკრიალითა, ჩემს ტუჩს ნაზად ეძახოდა!..

როს გითხარი: მსურს სიკვდილი, ვერ მივალწევ იქით კვირას,  
შენ, ღიმილით გაღიხარე და მიჰგავდი მზისუმზირას...

გულში ცრემლი ჩუხჩუხებდა: ათას რაზმად, ათას წყობად,  
სთქვი: შენს კუბოს დავესწრობი, დღეს დავსახავ გასართობად!..

მოველ სახლში მოხუცივით, გულში ჩაშრა ცრემლის ცვარი,  
იცი: ყინულს გიგავს გული, მისთვის მიყვარს იანვარი!..











მონეტიალე მუსიკოსი ილიკო ქუჩხული ზუგდიდის  
სცენის მოყვარეთა შორის.

1) ვალიკო ჯიქია, 2) გალაქტიონ ჭელიძე, 3) ყათრან კაკიანი,  
4) პეტრე მეუნარგია, 5) ვასო სართანია, 6) მაქსიმე ვეკუა, 7) პლა-  
ტონ სართანია, 8) ტერენტი ლატარია.



მალოროსთა პოეტი ტარასი შვხინკოს  
ხსოვნის აღსანიშნავად თბილისელ მოლორო-  
სთა ჯგუფი კვირას, 26 თებერვალს სახალხო  
სახლში მართავს სალიტერატურო საღამოს.

პორიზონტს უშლიდა, ახალი სხივებით  
აგრძნებდა მის შემოქმედებას. განსა-  
კუთრებით დიდად განიხარა, როდესაც  
მალიმ მისთავაზა ახალი სურათი: აღ-  
მოსავლეთურ ხალიჩის ფონზე ბერძნულ  
ქანდაკსავით ამართულიყო მალი; ნა-  
ხევრად შიშველს მხრებზე დალაღები  
ჩამოეშალნა, რასაც მის სიშიშველს  
ჰფარავდა, ისიც მეტის მეტად გამ-  
ჰვირვალე იყო, როგორც მზის ლეჩა-  
ქი. ამ ვაზის სამოსში მალი ბროლის  
სხივებში გამომკრთალ ზამბახად მოე-  
ჩვენა. საოცარი! ყოველთვის ზამბახი  
მის თვალთ. ამ ჰამიდაქ  
და მას, როგორ  
არის ახლად აყლორტილს ნარჩის ზამ-  
ბახსა, რომელიც მოულოდნელად გა-  
დაშლის ატლასა ფოთლებს და ვერც-  
ხლის ფერად მოეღვარე მძლრა-მძლრა  
წასული ეტოტინება მზეს, შეჰხარის  
მის მხურვალე სხივებს, როგორც ქალ-  
წული შეყვარებულ ქაბუკის კოცნას,  
რათა მთელს თავის მშვენიერებით  
გარდაიშალოს და მთელს ქვეყანას  
აჩვენოს დღესასწაული თავისი ფურ-  
ჩენის. ეს განხლდათ მომფრინავი გრა-  
ცია, განთიადის ექსტაზში მოქსოვილი  
საოცნებო ღრუბელი, რომელიც ვარ-  
დის კისკისით მხოლოდ იმიტომ მი-  
მოჰტრენს ცად, რომ მზე-დედოფალს  
შეებრძოლოს სიკვლეუტეში. ლელო და-  
ჰყურებდა ამ სურათს. ისე ჰგრძნობდა,  
თითქოს საკმეველის სურნელს ისუნ-  
თქავსო. მალიც, ეს მშვენიერების სა-  
უცხოვო ქსოვილი, ნარნარი დიმილით  
მოკვალთული, როგორც ბედნიერების  
თასი, ამ მოკვევე ზამბახის კისკისა პო-  
ზაში უხმოდ უძახდა მფრინავს ამურს.  
მისი ვნებანი შრიალი და ჩურჩული  
ფარული ვნება და ჩურჩული იყო  
ქალწული ლელნარისა, რომლის ფურ-  
ცლები ოდნავის აშრილებით ნიავს  
ატანენ თვის გულის წვას და ვნე-  
ბის აღსა.

ქვეშ,—ჰფიქრობდა ლელო,—არაფერი!  
სილამაზე სიშიშველშია. ნახვა დასრუ-  
ლებული გულმკერდისა, ღვთაებრივად  
სავსე ფერდებისა, ვარდის ფურცელი-  
ვით გამჰვირვალე სხეულის კანის და  
ზვირთისებურად მღელვარე ნაკვთები-  
სა,—აი ის საიდუმლო მზიური გზა,  
რომელზედაც ოქროს ეტლით გამოი-  
ქროლეს სიტურფისა და სიცოცხლის  
დიდმა ქურუქებმა ფაღიამ, პრაქსი-  
ტელმა, ტიციანემ, მიქელ ანჯელომ,  
დონატოლომ, რუბენსმა, ვალასკენმა  
თუ რაიმე იანდ—როდენდმა.  
აღიქვით განსჭვრეტდა ამ  
სურათს მშვენიერების დაუსა-  
ბამო მშვენიერებას და უნებურად  
იძახოდა:  
— აჰ, რა კარგი, რა ძლიერი მეუ-  
ფენი დაჰბადა ღმერთმა!  
თითონაც სწყუროდა მალე მათ  
თანასწორად აღმადლებულიყო. ვარ-  
დის ბილიკი, რომელიც ამ მწვერვალ-  
თა გრეხილამდე ასვლასა ჰპირდებოდა,  
ისევე-ისევე მალი იყო. აი, ეხლაც უმ-  
ზერდა ამ უკაცსკენლს სურათს. მალი  
სცოცხლობდა. მალი ჭრელი ხალიჩის  
ფონიდან დაიძრა და თითქოს უცნაურ  
ზღვის ფირუზოვან ტალღებისაკენ გა-  
ეშურა. ზღაპარი განმეორდა. ანტი-  
ურმა სულმა იწყო აღდგომა, საუკუ-  
ნეთა ლეგენდების ყვავილთა ფურჩენა.  
აგერ, ზღვის ბრწყვალა კენჭებზე  
შემდგარს მშვენიერებას მზემ ოქრო-  
მკედი მოახვია ნარნარს მხარბეჭე-  
აი, ციური ქმნილება შევიდა, ტალღა

გადასჭრა, ჩაიყურყურელავა. ალბად  
პოსეიდონი თუ უნდა ინახულოს და  
თაყვანი სცეს. წუთიც და ზვირთებში  
მისი დალაღები გამოჩნდებოდა. როგორც  
შავს ღრუბლებიდან ნამგალა მთვარემ,  
ისე ტალღებით ამოანათა მალიმ აღ-  
ტაცებით შემკული პროფილი. ზვირ-  
თებმა თოვლის არშიად მოახვიეს ქა-  
ფის ლეჩაქი. სასწაულია! მეორე ვენე-  
რა იშვა ქვეყნად! მალიმ მორცხვად  
გამოსჭრა ნაპირისკენ საღმრთო ტალ-  
ღები. რიყეზე ამოგოგმანდა. პაროსის  
მარმარილოდ ნაკვეთს ქანდაკს ზღვის  
ღმერთის მიერ ნაწყალობები აღმასე-  
ბი სცვიოდა მოზაიკით მოქარგულს  
ნაპირებზე. ჰაეროვანი მზის მწუწნები  
უეცრივ ეთერად იქცა და... ფრთა  
გაჰშალა... ლელომ თვალები მოი-  
ფშენილა. ტურფა სანახაობა გაჰჭრა.  
მის წინ ჯადოსნურად მომღიმარი  
იგივე მალის სურათი ჭრელს ხალიჩის  
ფონზე ნახევრად შიშველ გულმკერ-  
დიან ქანდაკად ამართულიყო.

XIII

მალის აღტაცებას საზღვარი არა  
ჰქონდა, რომ ლელომ სიტყვა შეასრუ-  
ლა და აგერ ხუთმა თვემა გაიარა,  
რაც რომანტიულ გატაცებას თითქოს  
ფრთა შეაჭრა. უკვირდა მისი ენერ-  
გიის სიძლიერე. თითქმის ყოველ დღე  
ნახულობდა მის სახელოსნოს. ხშირად  
მოდელმობასაც უწევდა. აუარებელი ეს-  
კიზები და ეტიუდები თავბრუს ახვევ-  
და. მართალია, არც ერთი ჯერჯერო-

ბით არ დაემთავრებინა ლელოს, მაგ-  
რამ მალის სჯეროდა, ესეც მალე იქ-  
ნებოა. ყოველ შემთხვევაში ისიც კი  
გადასწყვიტა მიუნხენში გასამგზავრებ-  
ლად შეეწყო მისთვის ხელი, რომ სწა-  
ვლა დაესრულებინა და იქვე სალონში  
გამოექვეყნებინა მის მიერ შესრულე-  
ბული სურათები. წინდაწინვე ჰგრძნო-  
ბდა გამარჯვებას. რა ბედნიერი იქნე-  
ბოდა, როდესაც უცხოელ მხატვართა  
შორის აღმოიკითხავდნენ: Pinxit Lely!  
ერთად ერთი შიში ლელოს ჯანმრთე-  
ლობაზე ჰქონდა, მისი სიგამხდრე აში-  
ნებდა. ვილას და ახსოვდა გეგე, მისი  
ლაიპციგი. მალი იმითი კმაყოფილდე-  
ბოდა, რომ მისთვის დანიშნულს დრო-  
ზე ფული მიეწოდებინა. სხვაფრივ  
აღარც წერილი, აღარც აღფრთოვა-  
ნება, გატაცება. მისი საზრუნავი ლე-  
ლოს ნიჭი და მისი ჯანმრთელობა  
იყო. გადასწყვიტა, სოფელში როგორ-  
მე წაეყვანა. თვითონაც აგერ ეს მე-  
რვე წელია არ ენახა. ჰფიქრობდა  
„გიჟურას“ ტალღებში ბანაობა და  
„ვარდის ხევის“ ჯანსაღი ჰაერი კე-  
თილად იმოქმედებდა ლელოზე. საბაბს  
ეძებდა მხოლოდ და აი, ესეც იპოვნა:  
— დღეს რა რიცხვია?—ჰკითხა  
ლელოს ერთს საღამოზე, როდესაც  
ჩვეულებრივ დიასახლისობდა და ჩაი  
შესთავაზა.

— აპრილის ოცდა ხუთი.  
— ხუთი დღის შემდგომ რა იქნე-  
ბა?  
— მაისის პირველი. რად მკითხავთ,  
მალე.

— აბა გამოიცანით...  
ლელო ვერ მიხვდა.  
— ვერაფერი ქართველი ყოფილ-  
ხართ. თამარობაა, კაცო, ჩემი დღე-  
ობა!

ლელომ მოიბოდიშა, რომ თამარი  
ვერ გაიხსენა.

— ჰო და მეც ვაპირებ დღეობის  
გადახდას, მხოლოდ აქ კი არა, სო-  
ფელში. ოჰ, თქვენ ხომ არ იცით, რა  
მშვენიერია ჩვენი სოფელი. აბა წა-  
მოდიოთ. ჩემს დღეობასაც ნახავთ და  
სოფლის დიდ წარმართულს მშვენიე-  
რებას...

ლელოს ბევრი არ უფიქრნია. დას-  
თანხმდა. მალიმ სახელდახელოდ გეგ-  
მაც შეიმუშავა, დილა აღრიან წავი-  
დოდა ხვალ, ყოველისფერს მოაწესრი-  
გებდა და ლელოს 30 აპრილისთვის  
დაუწყებდა ლოდინს. ამ გეგმის შედ-  
ენაში მალი ცელქმა ოცნებამაც გაი-



† აგრონომი ალ. სისაური  
კახეთში ვერაგულად მოკლული.  
(იხ. „ს.ქართ.“





ტაცა. ვინ იცის, „ვარდის ხევი“ ხომ განთქმულია თავისი ახალგაზრდებით. შეიძლება ლელომ მარტოობის ბორკილი გაამტვრიოს და დამლონებელი დემონი მოიშოროს თავიდანაო. ნიშანში რამდენიმე ჰყავდა ამოღებული, მაგრამ ყველაზე მეტად ისევ კნიაჟნა წერი ემეტებოდა, თვისი ბიძაშვილი. „მერი სწორედ შესაფერისი იქნება. უმანკო, საყვარელი არსება, სათნოებით სავსე, უეშმაკო, მასთან შესაფერი სწავლა მიღებული და კარგა შეძლებულიც“... მაღიმე წარმოადგინა ისიც თუ მერი როგორ დიდ სახელოსნოს აუგებდა, ერთი სიტყვით, რაც ლელოსთვის საკარო იქნებოდა, ყოველისფრით შეამზობდა. ამ ფიქრმა იმდენად გაიტაცა, რომ ეს მომხდარი ამბავი ეგონა კიდევ. შუშაბანდის სარკმლის მოაჯირზე შემჯდარმა უეცრივ სარკმლის მინისკენ იბრუნა პირი და თითა რამდენჯერმე დასცხო:

— აი შე ეშმაკო... მანდდან რო იყურები, განა არ ვიცი რასაც ჰფიქრობ...

ხელახლად დაუწყა ანცობა, თითს სცემდა. ლელომ თავი გადახარა ცნობისმოყვარეობით. თავისი გამოძკრთალი სახე რომ დაინახა, ჩაეცინა.

— რა უცნაური ქალი რამა ხართ, მალი, უცნაური...

— უცნაურიო? სრულიადაც არა, აბა რა არის აქ საუცნაურო?

შემდეგ ისევ „ვარდის ხევის“ ქება დიდებამ დაიჭირა ადგილი. ბირობა დასდეს მტკიცე, შეურყეველი, რომ ბუნება „ვარდის ხევისა“, მისი კეკლუცი მდებარეობა, სახელგანთქმული ვარდის ქალა, ზურმუხტის მდელო, ფიქვნარით შეფარგლული ფერდობები, მთელი ხეობის პანორამა და მასთან ერთად მორცხვი ელფი-კნიაჟნა მერი ნამდვილი მალამო იქნებოდა ლელოს სულის განსაკურნებლად და თავის გასანთავისუფლებლად. განთავისუფლება! რა ბედნიერი იქნებოდა. მაშინ ხომ ათასად განმტკიცდებოდა მათი დამშური დამოკიდებულება. მთელი ლა-

მე არ სძინებია. დილით კიდევ ადრიან გავიდა სადგურზე, რომ მატარებელს არ გაეწვრო. აი, გადახტა სასურველს სადგურზე. თითქმის ექვსი საათი იცადა, ვიდრე საკუთრივ ეტლი დაიჭირავა. სწყუროდა, ჩქარა ენახა მშობლის ქერი. თავი ისევ პატარად წარმოიდგინა, როდესაც წინსაფარ შემოგლეჯილს სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად არ გადარჩებოდა ალუბალი გაუსუნავი. გაიხსენა ისიც, თუ ერთხელ სიმინდის ტარობები როგორ მოიპარეს იმან და მისმა მეგობარმა, როგორ დაიჭირეს, ყადაღასთან როგორ წარადგინეს, მაგრამ ტარობები მაინც როგორ ვერ დასთმო და გაიქცა კიდევ. მას გულს უწყალებდა, რომ გზა თითქოს განგებ კიანურდებოდა. აგერ შებინდდა და კიდევ გამოჩნდა „ვარდის ხევი“. ვარსკვლავი სერზე აციმციმდა. ბინდის მყუდროებას არღვევს აჩქარებულ საქონლის ბლავილი, სოფლის ხმაურობა. აგერ მათი საყდრის სამრეკლოც. მთვარემ სხივები შეაბნია. მაღის იგი მოჩვენებათა კარავად წარმოუდგა. სასოებით პირჯვარი გადიწერა, როდესაც გაიხსენა, რომ სწორედ აქ მონათლეს იგი. დიდათა სწყინდა ერთი ის, რომ სამრეკლოზე ანგელოზთა ნაცვლად კილყვავები შეხუნძლოლიყვნენ. აგერ, შევიდნენ კიდევ. ცხენების თაქრა-თქურაზე და ეფენების უღარუნზე სოფელი ახმაურდა. აქა-იქ ეხოდა სანაოები გამოანათეს. ერთი ლამაზი შენობის აივანზე ქალაქურად ჩაცმულნი გადმოეყუდნენ და ცნობისმოყვარე თვალი ეტლს მოაეჩრეს. სანათის უჭქზე მათი პროფილი ფანტასტიურ ლანდად მოსჩანდა. როდესაც ეტლი შეტრიალდა სასურველ ეზოში, კნენა ფეფელა კინაღამ გადაირია. ჯერ დიდი ხნის უნახავი შვილი დაჰკოცნა, შემდეგ თავგზა აბნეული ხან ერთს ბიჭს ჰსაქმებდა, ხან მეორეს. მეეტლე იქვე ბელის აივანზე დააბინავებინა. მაღიც უსაზღვრო ბედნიერებით დამთვრალიყო.

მშობლის ალერსს ალერსითვე უმანსპინძლდებოდა.

საუზმის გათავების უმაღ მაღის არც კი დაუსვენია, მოისურვა, რომ ყოველისფერი დღესვე დაეთვალერებინა. ჯერ ბაღში შეიბინა. საყვარელად გაშლილი ვარდის ბუჩქები მთვარის სხივებს შეჰხაროდნენ თავიანთ სურნელებით თვითვე გაბრუებულიყვნენ. იქვე მახლობლად, მაღიმე საკუთარი ოთახის წინ, სოსანა ყვავილები რომ შეჰნიშნა, სიხარულით მიესალმა. ეხლა ამ ყვავილთ უფრო ველური სახე მისცემოდათ, ვიდრე ეს იყო წინაღ. სამაგიეროდ სურნელი მათი უფრო მკვეთრი და ველური იყო, სასურველი. მბალს ტოტები დაჰხეჩოდა ხუნძულა კუნწულებით, თითქოს იქ მისულს ალერსსა და სიყვარულს სთავაზობს, მკლავებად ტოტები დაუწევია, რათა გულში ჩაიკრას იგი, აიტაცოს და კოცნის ვარდფენილით მთვარისკენ ნელ-ნელ გაისტუმროსო. საამურსავე სანახაობას წარმოადგენდა თვითონ კოშკი, სადაც მაღის ოთახი იყო მოთავსებული. მთელი შენობა, როგორც ფეოდალურ ციხე-გალავნის ნაშთი, საშუალო საუკუნოებში გიკრავდათ თავსა. აქ ყოველისფერი სიძველით სუნთქავდა. ყვავილები თუ ხეხილი რაინდულს სურნელს მოაფრქვედნენ. აი, სოსანის კუნწულა ზარებს როგორ შეჰხლართვია მიხაკი. ესეც ხომ სიყვარულის ზღაპარს მოგვითხრობს. მთელი ეს ვეება კოშკიც ხომ საფერიაო მღვიმეა. მარცხნივ სარკმლის გვერდით, კოშკს მკლოფი აიბაყილო ასდევს და გველსაგნთ გადახლართვია ბანის წვეკსა. ზღის გაახსენდა პატარობა. ვინ იცის, რამდენჯერ აცოცებულა ამ გველის ზურგით, რამდენჯერ თავი გაუტენია აქედან ჩამოვარდნის დროს, მაგრამ მეორე დღეს ისევ აცოცებულა რა არის შოშის ბარტყები ჩამოესხა. კოშკის ზემო სარკმელიც ისევ დაუზიანებლად გამოიყურებოდა. გაახსენდა თუ აქ ერთხელ შოშის

ბარტყების ნაცვლად ირბოდა ცირკიტას თეთრმა კირკიტას ბარტყმა უშველბილი თვალები როგორ შეანათეს და გული გაუხეთქეს.

— ნეტავი იმ დროს!—დანანებით გაიგლო გულში და ახლა ცაცხვის ხეივინსაკენ იბრუნა პირი. აქ ოდესღაც დიდის ამბით მოსეირნობდნენ მათი სტუმრები, წყვილ-წყვილად, სიმღერებით, ჟრიაშლით. მერე რა იქნენ ესენი? ცოცხლები არიან? სად გადიკარგნენ? ამ ფიქრებში იყო, რომ ალუჩის ძირში ჰამაკი შეჰნიშნა. სწრაფად მიაშურა. გაქანებისთანავე მოქანცულს სხეულს იამა მოშვება. ფიქრი და ბურანი ერთი იყო. ის ის იყო ჩაძინებოდა კიდევ, რომ დედის ხმა გაიგონა. მზრუნველობით დედას მისი საწოლი ოთახი კიდევ მოემზადებინა. ვახშმად ერბოკვერცხი, ჩახრაკული ვარიები, წყაროს წყალი და ცივი ღვინო გაეწყო, მაგრამ მაღი ვერასფერს დაეკარა. შთაბეჭდილებათა ხროვა არ ასვენებდა. მას ჰსურდა ახლა შეგნითა კარიც დაეთვალერებინა. ინახულა თავლა, ბოსელი. მიელერსა დამფრთხალ ხბოს, დაუკოცნა რქის ძირები.

— ფუჩი, ფუჩ-ფუჩ... ლამ შეგაშინა, ჰა?—ეკითხებოდა და თან კისერსა ჰეხანდა. შემდეგ შეიხედა მარანში, ბედელში, თვით საქათმეშიც კი. თვითეულს ფეხის გადადგმაზე თოლია დასდევდა, დარბაისლური ნაბიჯითა. ეს უკვე სიბერით გადაყრუებული და პატარა ქალბატონის დამაინდვადისისება ალარ ში... აგზავდა გულზე ბტომითა. ეხლა კუდს ძლივ-ძლივობისას აქიცი-ნებდა და ჯანჯალით იმ კართან მიიბენდა წინდაწინ, რომლის შეღებასაც მაღი მოისურვებდა ხოლმე.

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)



ქ. შ. წ.-პ. საზოგადოების კრების ბარჯემო.

წერა-კითხვის საზოგადოების კრება იყო დიდი ისტორიული მოვლენა საქართველოს მატინეში. ამ დღეს ორ სოციალისტურ პარტიის ბელადი გიორგი და ნიკო ერთმანეთს შეება. ამ ისტორიულ კიდაობას მე და „ზვირთის“ მუშები ვხელმძღვანელობდით.

თედო ლლონტი.